1 მაისი, 2015

№-59

ქ. თბილისის მერიის

არქიტექტურის სამსახურს

მოგახსენებთ, რომ ქსნის ქუჩა 36-ში (ს/ნ 01.12.08.002.003), საპროექტო ტერიტორიაზე ნახაზით ფიქსირდება ელექტრო გადამცემი ხაზი (ს/კ 01.01.414), რომლის მესაკუთრედ წარმოდგენილია სს „თელასი".

მას შემდეგ, რაც წერილობით მივმართეთ სს „თელას"-ს, საპროექტო ტერიტორიაზე გამოცხადდა სპეციალური ჯგუფი, რომელთაც აწარმოეს აზომვითი სამუშაოები. შედეგად აღმოჩნდა, რომ ელექტრო გადამცემი ხაზი (ს/კ 01.01.414) სტანდარტების შესაბამისად არის დაშორებული საპროექტო შენობასთან. სს „თელას"-მა მოგვაწოდა იმ სტანდარტების ნუსხა, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მშენებლობის და პროექტირების პროცესში (იხ. დანართი 1). ჩვენი მხრიდან მოწოდებული პროექტი კი ამ სტანდარტებს სრულიად შეესაბამება. მიუხედავად ამისა, თქვენი მხრიდან დამატებით მოთხოვნილ იქნა სს „თელასი"-ს ცალსახა თანხმობა, რაზეც კიდევ ერთხელ მივმართეთ მათ (იხ. დანართი 2). სს „თელასი"-სგან მივიღეთ უარი, ვინაიდან ისინი არ აწარმოებენ გენერალური გეგმის და პროექტის შეთანხმებას, შესაბამისად არ გასცემენ არანაირ თანხმობის საბუთს (იხ. დანართი 3).

გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოება და მოგვცეთ მშენებლობის ნებართვა.

პატივისცემით,

სს „ლელო"-ს დირექტორი:

ბესიკ ახალაძე

JSC LELO 200002745
36 Ksani Street, 0141, Tbilisi, Georgia
Web: www.ware-house.ge

Tel: +995 32-2 907 709
Fax: +995 32-2 607 323
E-mail: info@ware-house.ge

АО „ТЕЛАСИ“ სს „თელასი“

TELASI 4 15 00025470

08/04/2015

სს ,,ლელოს" დირექტორს
ბ-ნ ბესიკ ახალაძეს
მის: ქსნის ქ. 36

თქვენი 07.04.2015 წლის #კ-47 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე ქსნის ქ#36-ში, მიწის ნაკვეთის (ს.კ. 01 12.08.002.003) მიმდებარედ გადის სს „თელასის“ კუთვნილი 110კვ–იანი საჰაერო ელ. გადამცემი ხაზი ,,ხევძმარა 1,2".

საჰაერო ელ. გადამცემი ხაზის მიმდებარედ დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

1. საჰაერო ელ. გადამცემი ხაზის მაქსიმალურად გადახრილი განაპრა სადენიდან ორივე მხარეს 3 მეტრზე ახლო მანძილზე აკრძალულია მრავალწლოვანი ნარგავების გაშენება.*((საქა რთველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 964 2009 წლის 27 დეკემბერი მუხლი 3, პუნქტი ა.გ.გ.)*
2. მანძილი სეგხ–ის განაპირა სადენებიდან ორივე მხარეს მაქსიმალური გადახრის შემთხვევაში საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი შენობის უკიდურესად გამოშვერილ ნაწილამდე არ უნდა იყოს 4 მეტრზე ნაკლები. მშენებლობის დროს გათვალისწინებული იქნას მათი აშენება უწვადი მასალების გამოყენებით *(ელ.დანადგართა მოწყობის წესების (ПУЭ) პ. 2.5.115*).
3. აკრძალულია ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებთან 110კვ–ის ანძასთან მისასვლელი გზების ლიკვიდაცია ან ჩახერგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი სიგანის)*((საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 964 2009 წლის 27 დეკემბერი,* მუხლი 4, პუნქტი ე).
4. სეგხ–ის დაზიანების ან უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, ხაზის დაცვის ზონაში (15 მეტრი განაპირა სადენიდან ორივე მხარეს). ყველა სახის სამუშაო წერილობით შეთანხმებული უნდა იყოს სს ,,თელასის" შესაბამის სამსახურთან.*((საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 964 2009 წლის 27 დეკემბერი მუხლი 3, პუნქტი ა.ა.დ. და მუხლი 4 პუნქტი 2)*

სს „თელასის“ ტექნიკური
დირექტორი ვ. ქინქლაძე

შემსრულებელი: შრომის დაცვის და სახანძრო
უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ბ. ჩიღუნაძე
ტელ: 2779959

საქართველო, თბილისი, 0119 ვანის ქ.3
Грузия, Тбилиси 0119, ул. Ванская 3
Тел.: +995 (32) 277 99 99; Факс: +995 (32) 277 99 81
www.telasi.ge

27 აპრილი, 2015

№-55

სს „თელასი“-ს

ადმინისტრაციას

როგორც მოგეხსენებათ, სს „ლელო“-ს (ს/კ 200002745) კუთვნილ ტერიტორიაზე (01.12.08.002.003) დატანილია ხაზოვანი ნაგებობა (ელექტრო გადამცემი ხაზი ს/კ 01.01.414), რომლის მოსარგებლედ წარმოდგენილია სს „თელასი“.

ზემოხსენებული ხაზოვანი ნაგებობა (ს/კ 01.01.414) აფერხებს ჩვენს გეგმებს, ახალი მშენებლობის განხორციელებასთან დაკავშირებით, რაზეც 2015 წლის 4 აპრილს მოგმართეთ თხოვნით, მოგეცათ შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა არქიტექტურის სამსახურში წარსადგენად. სამწუხაროდ, თქვენი პასუხი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისთვის არ აღმოჩნდა საკმარისი და მათ დამატებით მოითხოვეს (იხ. დანართი 1) დეტალური გენგეგმა ხაზოვანი ნაგებობის დატანით ან სს „თელასი“-ს ცალსახა თანხმობა AR1268657 განაცხადით ატვირთული პროექტის შესაბამისად მშენებლობის განხორციელების თაობაზე. როდესაც ჩვენ წარმოვადგინეთ მათი მოთხოვნის მხოლოდ პირველი ნაწილი, ანუ გენგეგმა ხაზოვანი ნაგებობის დატანით, მათი მოთხოვნა უფრო გაიზარდა (იხ. დანართი 2).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, მოგვცეთ ცალსახა თანხმობა იმის შესახებ, რომ პროექტი აკმაყოფილებს ყველა იმ პირობას რაც თქვენს 2015 წლის 8 აპრილის წერილშია ჩამოთვლილი.

პატივისცემით,

სს „ლელო“-ს დირექტორი:

ბესიკ ახალაძე

JSC LELO 200002745
36 Ksani Street, 0141, Tbilisi, Georgia
Web: www.ware-house.ge

Tel: +995 32-2 907 709
Fax: +995 32-2 607 323
E-mail: info@ware-house.ge

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 1837524

გაცემის თარიღი: 15/04/2015

გაცნობის თარიღი: 15/04/2015

განცხადების ნომერი: AR1268657

შემოსვლის თარიღი: 14/01/2015

შედეგი: **შუალედური**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.12.08.002.003
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქსნის ქუჩა , N 36
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 33230.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): სააქციო საზოგადოება ლელო (200002745)

ნომენკლატურა :

- **საწყობი**
- **III კლასი**
- **შეთანხმებული პროექტის ცვლილება**
- სტადიები:
  - **პროექტის შეთანხმება**
  - **მშენებლობის ნებართვა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- არჩილ დალაქიშვილი პ/ნ 01024073326
- მისამართი: თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 26 ბ. 5

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1377405
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 16.07.2014

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალი საწყობი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლუკა ღუდუშაური
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: სს "ლელო"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 200002745

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: სს"ლელო"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 200002745
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ბესიკ ახალაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 60003006496

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 33230.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1026.1
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1001.6
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 30.8
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 970.8
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 7056.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 7056.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 8.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 7.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.5
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 1531044
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 9.10.2014

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1535455
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 17.10.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რაზეც განმეორებით გაცნობებთ შემდეგს:

1. თქვენს მიერ წარმოდგენილი სს ,,თელასი"-ის წერილიდან გამომდინარე დამატებით საჭიროა წარმოადგინოთ დეტალური გენგეგმა (ტოპოგრაფიულ რუკაზე დამუშავებული) ხაზოვანი ნაგებობების დატანით (მათ შორის საჰაერო სადენების მდებარეობით და დაშორების მანძილის მითითებით) ან წარმოადგინეთ ცალსახა თანხმობა AR1268657 განაცხადით ატვირთული პროექტის შესაბამისად მშენებლობის განხორციელების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ამ ეტაპზე დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 1857757

გაცემის თარიღი: 24/04/2015

გაცნობის თარიღი: 25/04/2015

განცხადების ნომერი: AR1268657
შემოსვლის თარიღი: 14/01/2015
შედეგი: **შუალედური**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.12.08.002.003
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქსნის ქუჩა , N 36
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 33230.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): სააქციო საზოგადოება ლელო (200002745)

ნომენკლატურა :

- **საწყობი**
- **III კლასი**
- **შეთანხმებული პროექტის ცვლილება**
- სტადიები:
  - **პროექტის შეთანხმება**
  - **მშენებლობის ნებართვა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- არჩილ დალაქიშვილი პ/ნ 01024073326
- მისამართი: თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 26 ბ. 5

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. მარჯანის 7
ტელ: (+995 32) 272 22 22 ფაქს: (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
ვებ-გვერდი - tas.ge

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1377405
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 16.07.2014

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მშრალი საწყობი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლუკა ღუდუშაური
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: სს "ლელო"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 200002745

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: სს"ლელო"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 200002745
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ბესიკ ახალაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 60003006496

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 33230.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1026.1
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1001.6
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 30.8
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 970.8
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 7056.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 7056.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 8.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 7.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.5
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 1531044
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 9.10.2014

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1535455
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 17.10.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რაზეც

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე გამოვლინდა ახალი გარემოება: გენგეგმაზე საჭიროა დაიტანოთ არსებულ ხეს და საპროექტო შენობას შორის მანძილი, გაითვალისწინეთ, რომ იმ შემთხვევაში თუ დაშორება ერთ მეტრზე ნაკლებია, დამატებით საჭიროა წარმოადგინოთ შსაბამისი სამსახურიდან წერილი ხე-ნარგავის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით;

2 .საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი;

.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.: აღნიშნულ ველში საჭიროა ატვირთოთ ტოპოგრაფიული გეგმა, მასზე დამუშავებული გენგეგმა, დამატებით წამროდგენილი გენგეგმა - ხაზობრივი ნაგებობებიდან დაშორებების დატანით (რაც ამ ეტაპზე გაქვთ წარმოდგენილი), ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეების თანხმობები (გაერთიანებული ერთ ფაილში);

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ამ ეტაპზე ვერ დააკმაყოფილებს თქვენს თხოვნას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

АО „ТЕЛАСИ“ სს „თელასი“

TELASI 5 15 00029765

29/04/2015

სს ,,ლელოს" დირექტორს
ბ-ნ ბესიკ ახალაძეს
მის: ქსნის ქ. 36

თქვენი 27.04.2015 წლის #კ-55 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სს ,,თელასი" არ აწარმოებს გენერალური გეგმის და პროექტის შეთანხმებას, შესაბამისად არ გაცემს არანაირი თანხმონის საბუთს.

სს „თელასის“ ტექნიკური
დირექტორი ვ. ქინქლაძე

შემსრულებელი: შრომის დაცვის და სახანძრო
უსაფრთხოების სამსახურის უფროსი მ. ჩიღუნაძე
ტელ: 2779959

საქართველო, თბილისი, 0119 ვანის ქ.3
Грузия, Тбилиси 0119, ул. Ванская 3
Тел.: +995 (32) 277 99 99; Факс: +995 (32) 277 99 81
www.telasi.ge